



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	რუსთავის „რუსთავი“ - თბ „წიქარა“		
გუნდი	რუსთავის „რუსთავი“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	29/10/2022	მატჩის ადგილი	რუსთავი, ხარები არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი ჯიმშელაძე		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი - როინ ბრეგვაძე	საჩივარი	✓ აღიარებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #2 : საჩქები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის. მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა	წითელი ზარათი	✓ საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	14/11/2022	განხილვის ადგილი	
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი	რუსთავის „რუსთავი“-ს მენეჯერი ლუკა ბეჟუაშვილი	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის - როინ ბრეგვაძის საითინგი		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის როინ ბრეგვამის საითინგი;
2. მატჩის მეთვალყურის ნათია გავაშელიშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის კიდის მსაჯის გიორგი ირემაშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის კიდის მსაჯის საბა შვანგირაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. მატჩის მსაჯის როინ ბრეგვამის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელმა, გიორგი ჯიმშელაძემ, აღიარა მატჩის ოფიციალური პირის(მსაჯის) სიტყვიერი შეურაცხყოფის(დედის გინება) ფაქტი მისი მხრიდან, მწუხარება გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო და თავისი საქციელი ახსნა უკიდურესი გაღიზიანებით მსაჯის გადაწყვეტილებებზე. მისი თქმით მატჩის მსაჯი ვერ ერკვეოდა რაგბის ელემენტარულ წესებში რამაც ამ კონკრეტულ მატჩში დააზარალა მისი გუნდი.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 29/10/2022 გაიმართა რეგიონალური ლიგის VII ტურის მატჩი რუსთავის „რუსთავი“-სა და თბ „წიქარა“-ს შორის;
2. მატჩის მსაჯის, როინ ბრეგვამის, საითინგისა და სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - რუსთავის „რუსთავი“-ს წარმომადგენლები მთელი თამაში განმავლობაში გამოირჩეოდნენ აგრესიული შემახილებით მსაჯების მიმართ, კერძოდ აპროტესტებდნენ და არაკორექტულად გამოხატავდნენ თავიანთ აზრს. თამაშის დასრულების შემდეგ მოედანზე შემოვიდა რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელი, გიორგი ჯიმშელაძე, რომელის მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას, არაკორექტულ საუბარს და გინებას.
3. მატჩის კიდის მსაჯის გიორგი ირემაშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერის მიხედვით - თამაშის დამთავრების შემდეგ მოედანზე შემოსული რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელის, გიორგი ჯიმშელაძის, მხრიდან ადგილი ჰქონდა მატჩის მსაჯის მიმართ მუქარას და სიტყვიერ შეურაცხყოფას (დედის გინება);
4. მატჩის კიდის მსაჯის საბა შვანგირაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერის მიხედვით - მთელი თამაშის განმავლობაში, რუსთავის „რუსთავი“-ს წარმომადგენლები აპელირებდნენ და არაკორექტულად გამოხატავდნენ პროტესტს მსაჯის გადაწყვეტილებებზე, ხოლო თამაშის დამთავრების შემდეგ მოედანზე შემოსული რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელის, გიორგი ჯიმშელაძის, მხრიდან ადგილი ჰქონდა მატჩის მსაჯის მიმართ მუქარას და სიტყვიერ შეურაცხყოფას (დედის გინება);
5. მატჩის მეთვალყურის ნათია გავაშელიშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერის მიხედვით - მთელი თამაშის განმავლობაში, რუსთავის „რუსთავი“-ს წარმომადგენლები აპელირებდნენ და არაკორექტულად გამოხატავდნენ პროტესტს მსაჯის



გადაწყვეტილებებზე. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა „რუსთავი“-ს მწვრთნელი გიორგი ჯიმშელაძე.

სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის, რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელის გიორგი ჯიმშელაძისა და მისი წარმომადგენელი მოსმენის შემდეგ, იმსჯელა ზემოაღნიშნული ინციდენტის შესახებ და დაადგინა, რომ რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელის გიორგი ჯიმშელაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას, კერძოდ **მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფას**. სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-თ (სანქციები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის.) და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება



სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	2022-2023 წლის რეგიონალური ლიგის სეზონის დასრულებამდე.	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	16/11/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	2022-2023 წლის რეგიონალური ლიგის სეზონის დასრულების შემდეგ.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	16/11/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.